საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. № 10, სანდრო ეულის ქ. № 5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის № 29-ს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა”

ჩვენს მიერ 2018 წლის 17 ივლისს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. № 10, სანდრო ეულის ქ. № 5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის № 29-ს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 10, სანდრო ეულის ქ. № 5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის № 29-ს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „გეოინჟ-კომპლექსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2018 წლის ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ნ. ილაშვილი. ანგარიშში ეყრდნობა ლიტერატურულ და ფონდურ მასალებს და მათი მონაცემებით არის შედგენილი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 5 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი მანსარდით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხნარი.
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, არგილითები ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით.

4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, არგილითები ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით გამოფიტული.

ანგარიშში ატარებს წინასწარი დასკვნის ხასიათით გამოკვლეულია ძირითადად ფონდურ და ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით საკვლევი ტერიტორიის პირობები. ტერიტორიაზე გამოყოფილია საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. მოცემულია მათი საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყლები აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ და გამოყენებული უნდა იქნა შენობის მიწისქვეშა ნაწილში სულფატომედეგი ცემენტები.

დასკვნა

ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 10, სანდრო ეულის ქ. № 5-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის № 29-ს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ჭოხონელიძე